იაპონიის საელჩო
7დ კრწანისის ქ.; 0114 თბილისი

2 სექტემბერი, 2013

პრეს რელიზი

<u>იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული „ფოთის # 16 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია“ პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია</u>

3 სექტემბერს , 11 საათზე, ქალაქ ფოთში გაიმართება იაპონიის მთავრობის მიერ, ადამიანთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, ფოთის # 16 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის საზეიმო **გახსნის ცერემონია.** ცერემონიას დაესწრებიან – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი 2013 წლის 7 თებერვალს მოეწერა იაპონიის საელჩოსა და ასოციაცია „მედია და საზოგადოებას“ შორის. პროექტის მიზანი ფოთის # 16 საბავშვო ბაღში საგამანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაა. პროექტის ფარგლებში 180 მოსწავლე ისარგებლებს ამ პროექტით, რომლის ღირებულებაც 121,847ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

„გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ (GGP) საგრანტო პროგრამა დახმარებას უწევს შედარების მცირემაშტაბიან პროექტებს, რომლებიც ინიცირებულია ადგილობრივი მთავრობების, სამედიცინო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული სექტორის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლოების ყოფის სტანდარტის გაუმჯობესებას. პროგრამა ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საზოგადო ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება, გარემოს გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და სხვა. 1998 წლიდან GGP–ის ფარგლებში დაფინანსდა 130 პრეოქტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 12,161,961 ა.შ.შ. დოლარი შეადგინა. იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებამ კი 362 მილიონ ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა.

მედიის წარმომადგენლებს გეპატიჯებით გახსნის ცერემონიაზე.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

გახსნის ცერემონია